

# ინტერნეტში ცნობების გავრცელებით მიყენებული არაქონებრივი ზიანი

თამარ ასათიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე კერძო(ბიზნეს) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო(ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უჩა ძიმისტარიშვილი(მოწვეული ლექტორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## **განაცხადი**

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

**თამარ ასათიანი**

**2019 წელი**

# სარჩევი

აბრევიატურა .....	iii
აბსტრაქტი.....	iv
შესავალი .....	1
თავი I. ფაქტი vs მოსაზრება.....	2
1. აზრი, როგორც საქართველოს კანონმდებლობით დაცული უფლება.....	2
2. აზრის თავისუფლების დაცვის სტანდარტი საერთაშორისო სამართლის მიხედვით .....	7
თავი II. ინტერნეტში ცნობების გავრცელება .....	11
1. სოციალური ქსელი, როგორც საჯარო გავრცელება.....	11
თავი III. ზიანის მიყენება ცნობების გავრცელებით .....	14
1. ზიანის ცნება, ქონებრივი ზიანი .....	14
2. არაქონებრივი ზიანი .....	16
3. ცილისწამებისთვის სარჩელის აღძვრა სასამართლოში .....	19
4. ცნობების გავრცელება საჯარო პირის მიმართ.....	23
5. ევროსასამართლოს პრაქტიკა საჯარო პირის მიმართ ცილისწამების გავრცელებაზე.....	24
IV. ცნობების გამავრცელებლის იდენტიფიცირება.....	30
1. ჟურნალისტის/პრესის მიერ ცნობების გავრცელება.....	30
2. კერძო პირის იდენტიფიცირება ინტერნეტში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით	32
V. ცნობების უარყოფის მექანიზმები.....	38
1. ცნობების უარყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით .....	38
2. ცნობების უარყოფა ინტერნეტის მეშვეობით .....	41
დასკვნა.....	43
ბიბლიოგრაფია.....	44

## აბრევიატურა

ქართული:

გვ- გვერდი

სუსგ- საქართველოს უზენაესი სასამართლო

ა. შ- ასე შემდეგ

ე.წ- ეგრეთ წოდებული

ე.ი- ესეიგი

სსკ- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ინგლისური:

VS- Versus (წინააღმდეგ)

IP- Internet Protocol (უნიკალური ციფრები, რომლებიც გამოყოფილია მძიმეებით, გამოიყენება იმისთვის, რომ მოხერხდეს იდენტიფიცირება კონკრეტული კომპიუტერის და ქსელის მეშვეობით კომუნიკაცია)

## აბსტრაქტი

ყველა ადამიანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფლებით, მოიძიოს, მიიღოს და გაუზიაროს სხვებს ინფორმაცია და მოსაზრებები თავისი შეხედულებისამებრ. რაც მოიცავს ონლაინ სივრცეშიც ცნობების მიღებასა და გამოხატვას. თუმცა, გამოხატვის თავისუფლება ზოგჯერ შესაძლოა გასცდეს გამოხატვას და წინააღმდეგობაში მოვიდეს პირადი ცხოვრების უფლებასთან.

ინტერნეტის ეპოქაში ამ ორ უფლებას შორის დაპირისპირება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა. რადგან ონლაინ სივრცემ, მილიონობით ადამიანი დაუკავშირა ერთმანეთს საზღვრების მიუხედავად და შესაბამისად ასევე საზღვრების გარეშე გაფართოვდა ცნობებისადმი მათი წვდომის არეალი. ამ დადებით ეფექტთან ერთად ინტერნეტ მომხმარებლებს გვაკისრია ვალდებულება, რომ პატივი ვცეთ სხვათა რეპუტაციას და უფლებებს, მათ შორის პირად უფლებებს.

საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით ქვეყნებმა ერთხმად აღიარეს, რომ შეზღუდვები უნდა დაწესდეს ისეთ გამონათქვამებზე, რომლებიც აქეზებენ დისკრიმინაციას, სიძულვილს ან ძალადობას. მაგრამ, რა ხდება იმ შემთხვევაში თუ გამონათქვამები ცილისმწამებლური ბუნების არის და მიმართულია ინდივიდის რეპუტაციის და ღირსების დაზიანებისკენ?! ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ მას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ზიანის ანაზღაურება, თუმცა ჩნდება კითხვა რა სახის ზიანის მოთხოვნის უფლება აქვს დაზარალებულს და როგორ გამოიყურება ღირსებისთვის ბრძოლის პროცესი.

ნაშრომში შესავალში წარმოდგენილია მსჯელობა იმასთან დაკავშირებით თუ სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და პირად უფლებებს შორის, როგორც საქართველოს ისე საერთაშორისო საკანონმდებლო დონეზე.

ამის შემდეგ, ძირითად ნაწილში განხილულია, ზოგადად რა ითვლება ცილისმწამებად და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს წარმატებული სარჩელი. მოყვანილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა და ხაზგასმით არის

აღნიშნული ის ფაქტორები რასაც ამოწმებს სასამართლო სარჩელის დასაშვებობის დროს.

წარმოდგენილია განსხვავებული მიდგომა ცნობების გამავრცელებლის მიმართ, იქნება ეს კერძო პირი თუ მედია საშუალება. ასევე გამიჯნულია, სამართლებრივი დამოკიდებულება ადრესატის, კონკრეტულად კი, საჯარო და კერძო პირების მიმართ.

დასაშვებობის ეტაპის გადალახვის შემდეგ, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით, კომპენსაციის დროს მოცემულია ის ფაქტორები რასაც ითვალისწინებს სასამართლო და ასევე განხილულია ზიანის ანაზღაურების მეორე შემთხვევა, ცნობების უარყოფა.

რაც შეეხება უშუალოდ ინტერნეტში ცნობების გავრცელებას, წარმოდგენილია განსხვავებული მიდგომა როგორც ევროპის ისე ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მხრიდან. რაც არც თუ ისე კარგად არის დარეგულირებული ქართული სამართლით.

დასკვნის სახით, კი შეფასებულია ის ნაკლოვანებები რაც არსებობს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში და დასახულია პრობლემის გადაჭრის ავტორისეული ხედვა.

## Abstract

Every person should be entitled to seek, receive and share information and opinions with others at its sole discretion. The latter includes right to obtain information and express opinions freely online as well. However, freedom of expression can sometimes go beyond expression and contradict the right to private life.

The controversy between two rights has become particularly visible in the internet epoch. The online space connected millions of people despite the borders and subsequently their access to information expanded across the borders. Along with these positive effects, internet users are obliged to respect the reputation and rights of others, including personal rights.

According to international and local legal standards, the states have unanimously acknowledged, that the statements encouraging discrimination, hatred or violence should be restricted. However, what happens if the statements are defamatory in nature and are directed to damage the reputation and dignity of the individual?! It would be logical to claim that the defamation should be compensated, however the question arises what are the types of damages the victim can claim and how does the fight for dignity look in practice?

The introductory part of the thesis, discusses how to draw a line between freedom of expression and personal right, as pursuant to Georgian and International law standards.

After that, the main part of the thesis deliberates on what is considered defamation in general and what the criteria should the successful lawsuit satisfy. The uniform practice of Supreme Court of Georgia is cited and the factors that are being examined during the admissibility of the case is emphasized.

The thesis presents multiple approaches towards the information distributor whether it is private person or media. The legal attitudes towards several addresses, in particular private or public persons, is also presented separately.

Following the admissibility stage, in case the claim is satisfied, thesis presents multiple factors that are considered by the courts while granting compensation for damages or denial of defamatory information.

As for the defamatory statements in internet, thesis tries to present multiple approaches adopted by European or the US practice. The latter has certain deficiencies in Georgian legal system.

As a conclusion, shortcomings of Georgian Judicial practice are analyzed and author's vision for addressing the identified problems is presented.